№ 240. 17 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1881 17 ნოემბერი, სამშაბათი. № 240.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. თვ. მუხრანსკის სახლებ-ში ალუმის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ანუ მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილი ასოებით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივად მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით აღარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სათავადაზნაურო ფოთის ბიბლიოთეკა

სახაფხულო თეატრში
ოთხშაბათს, 18 ნოემბერს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## აპ. ცაგარლისა

ქართული დრამატიული დასის არტის-ტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**

ე რ თ ი ნ ა ბ ი ჯ ი წ ი ნ

დრამა 4 მოქ. თხზ. ბენეფიციანტისა.

**II**

## ბაიყუში

კომედია-ფარსი 2 მოქ. თხზ. იმისივე.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

---

## ტელეგრამა

(„კავკასიონ-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 13 ნოემბერს. გაზ. „პორიადოკში“ იწერებიან, რომ უმაღლესი მთავრობა იხილავს ჩინოვ-ნიკების გზის ხარჯისა და გადასვლის დროს მისადებ ფულების წესდებასა (პრაგონი და პადიომნი). ამ წესდება-ში გზის ფული ცხენებზედაა გამოან-გარიშებული, ეს მოისპობა და ამის მაგიერად გზის ხარჯი, საცა რკინის გზა ანუ გემის გზაა, ამ გზების ფასებზე იქნება გამოანგარიშებუ-ლი.

ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ იანვრამდინ არ მოილაპარაკებენ იმა-ზე—მიეცემათ თუ არა ურიებს უფ-ლება სამიკიტნოების გახსნისა და თუ მიეცემათ, რა პირობით. ახალი წეს-დება სამიკიტნოებისა სტასტოლ ქა-ლაქებს, ოდესისას, პოლშის სამეფოს, ბალტიის მხარეს, თურქისტანს და კავკასიის იქითა მხარეს არ შეეხება. ამ ქვეყნებიდამ ცალკე მცოდნე პირე-ბი იქნებიან მოწვეულნი და ისინი გადაწყვეტენ სასმელების საქმეს.

**სტამბოლი**, 13 ნოემბერს. არზრუ-მის ახლო-მახლო ადგილებში გაჩნდა რაღაც ავათმყოფობა, რომელიც ჭირ-სა (ჟამს) ჰგავს. მთავრობა ყოველ ღონის-მიებას ხმარობს, რომ ეს ავათ-მყოფობა არ გავრცელდეს

**პეტერბურღი**, 14 ნოემბერსა გუ-შინ, ნაშუადღევის 3 საათზე, ერთმა ახალ-გაზდა ურიის მსგავსმა კაცმა გამოიხმო სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის სხდომიდამ დენერა-ლი ჩერევინი (შინაგან საქმეთა მი-ნისტრის ამხანაგი და ადრინდელ მე-III განყოფილების გამგებელი), გამოიხმო და რევოლვერი ესროლა. ტყვიამ გახვრიტა ზემო-ტანისამოსი და არავითარი ვნება არ მიუცია თვი-თონ დენერლისათვის.

**პეტერბურღი**, 15 ნოემ. „მმარ-თებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: ის კაცი, რომელმანც გუშინ დენ. ჩერევინის მოკვლა განიზრახა, ად-მოჩნდა გროდნენის გუბერნიის აზნა-ური, სახელად ნიკოლაი სანკოვსკი, რომელიც ამ დღეებში მოსულა მარ-შანსკიდამ; სხვათა შორის ამან უჩვე-ნა, რომ იმასთან ერთად მოვიდა მეს-ჩანინი მელნიკოვი, რომელიც აგრეთ-ვე დაატუსაღეს.

**პეტერბურღის ბირჟა**, 13 ნოემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 — | „ |
| მეორესი — — — — | 91 — | „ |
| მესამესი — — — — | 92 — | „ |
| მეოთხესი — — — | 90 — | 75 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 — | „ |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 7 — | 70 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 220 — | 50 |
| მეორე სესხის — — | 214 — | 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 25 — 69 | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 219 — 25 | ცენტი |
| პარიჟი — — | 270 — 50 | სანტიმი |
| კავკასიის კეროსინი — — — | | |

---

## ი სამეგრელოს სასწავლებლის წეწვა-გლეჯა.

თფილისი, 16 ნოემბერს.

ძნელად თუ სადმე ნახულა იმის-თანა უბედური ბედის სასწავლებელი, როგორც მარტვილის სასულიერო სასწავლებელია; რა არ გამოსცადა ამ საწყალ სასწავლებელმა ამ უკანასკნელ შვიდი-რვა წლის განმავლობაში: ერთხელ გადასწვეს; მეორედ გადაწვა დააპირეს, მაგრამ დროზე შეიტყეს და დააქრეს; მესამედ, ამ დღეებში, კიდევ გადასწვეს. მარტვილიდამ ერთხელ ქუთაისში გადმოათრიეს; მერე ქუთაი-სიდამ ისევ მარტვილში გადაიტანეს.

სამეგრელოს მღვდლებს ერთი გაც-ხარებული ჩხუბი და აყალ-მაყალი აქვთ სულ ამ სასწავლებლის თაო-ბაზედ: ერთი ნაწილი იძახის:—ზუგ-დიდში გადავიტანოთო! მეორე—ახალ-სენაკს არჩევს, მესამე—ქუთაის-ში გადატანას თხოულობს და მეოთ-ხეს კი—ისევ მარტვილში დარჩენა ჰსურს. ორჯერ თუ სამჯერ იყო სა-მეგრელოს სამღვდელოთა კრება ამ საგანზედ, მაგრამ ვერც ერთჯერ ვერ მოთავსდნენ, ვერ დათანხმდნენ, ერთი მარჯვენივ იწევს, მეორე მარცხნივ, ერთი წინ, მეორე უკან.

ამას წინად ამბობდნენ და იწერე-ბოდნენ, რომ, რადგან თვითონ სამ-ღვდელოებაში თანხმობის ჩამოგდება არ მოხერხდა, უმაღლეს საეკლესიო მთავრობამაო, თუ თვითონ სამეგრე-ლოს სამღვდელოებამ ამ საქმის გა-დაწყვეტა იმერეთის ეპისკოპოსს მიან-დოო. თუ ეს მართალია, გვიკვირს —რატომ ყოვლად-სამღვდელო იმე-რეთის ეპისკოპოსს ამდენი ხანი ვერ გარდაუწყვეტია ეს საქმე და რად მი-

---

«დროების» ფელეტონი, 17 ნოემბ.

## ომის დროს მოგზაურობა
### ოსმალოს საქართველოში.

(გაგრძელება *)

მივახლოვდით სოფ. სხოლობანს თუ არა, თვითონ იუსუბ-აღამ მნახა; იმას ადრე ვიცნობდი ახალციხეს. უბრძანა იქ ერთ მდგომს, რომ ჩვენი ცხენები შეეყვანათ ბოსელში. როცა საჩქა-როდ წასვლა განვუცხადე, განცვი-ფრებულმა მითხრა:

— ასი წლის მეგობრის შვილი ძლივ ერთხელ მოხველ ჩემ ოჯახში და როგორ შეიძლება რამდენიმე დღე მაინც არ დადგე?

— მე ჯარის კაცი ვარ, არ შემიძ-ლია და თუ მალე გამისტუმრებ, დი-დი პატივი იქნება.

ვიდრე ჩვენ იმის სახლში თითო ფინჯან ყავას დავლევდით, ოთხი თოფიანი კაციც გამზადდა და სულ ცხრა სული გავემგზავრეთ გზაზე.

*) იხ. „დროება“ № 235.

სხოლობნიდგან ორი გზაა ფოც-ხოვზე: ერთი არსიანს შემოუვლის მარცხნივ და მეორე მარჯვნივ. მარ-ჯვნივ ძრიელ ახლოა, მაგრამ ამ დროს არ შეიძლებოდა იმ გზით წასვლა, რადგან გზა „თარი“ (თოვ-ლიანი) იყო; ჩვენ მარცხნივ წამოვე-ლით. ვიდრე ტყეს მივახლოვდებო-დით ვმუსაიფობდით ახლად-შემწყდარ ომიანობაზე. სიფრთხილით, თავდარი-გით, ტყეს მშვიდობიანად გავსცილ-დით, მთის ძირზე დავისვენეთ ერთ პატარა მდინარე რუსთან.

ცოტა დასვენების შემდეგ დავაპი-რე წასვლა, მაგრამ ციხელებმა და სხოლობნელებმა მთხოვეს უკან და-ბრუნება, რადგან ამის შემდეგ ტყე აღარ შეგვხვდება და ეს გზა მიგიყვანს ს. საიხვეს და თუ იქ არ მოინდომებ, ვახლაც ახლოა. მე ვუთხარ, ვახლას მინდა მისვლა-მეთქი, რადგან ვახლას მყავდა დაახლოვებული მეგობარი. ისინი ყველანი გამოვისტუმრე უკან, მე და ჩემი ოსი შევუდექით ნელა ფეხით სიარულს აღმართით. ვიფიქრე, ამაღამ ახალციხეს მისვლა შეუძლე-ბელია, რადგან სხოლობანს და ცი-ხის უკანასკნელი ოთხი საათი დამა-ყოვნეს. ვაპირებდი ღამე ფოცხოვში დადგომას. ერთი აღმართი რო ავია-რე, ვნახე, რომ, ერიჰა, ჯერ სადაა ფოცხოვი! მაშინ ვიკადრე ცხენზე შეჯდომა და აჩქარება; ვიდრე ამო-ველი მთის წვერზე, დაღამდა; საში-ნელი ნისლი დააწვა მთას, დაიწყო წვიმა, ბევრ ალაგს თოვლიც იყო და დიდ შეწუხებას გვაძლევდა; რამდენ-ჯერმე გზაც დავკარგეთ: ასე, ამ ყო-ფით ავიარეთ აღმართი.

— ახლა, ვამბობდი ვულში, არა თუ ვახლი, ოღონდ კი სოფელი იყოს, ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი.

ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მივა-დექით ერთ სოფელს. ბევრი ძახილი, ბევრი კარების ცემა, მაგრამ ადამია-ნის შვილი თვალით ვერ ვნახეთ. რომ გაგვიჭირდა, ერთ კარაპანში (კარების წინ დახურული, ანუ დერეფანი) შე-ველით, ხურჯინიდამ სანთელი ამო-ვიღეთ, ავანთეთ; ერთი კარები გავა-ღეთ, ცხვარი ემწყვდია, მეორეში ბა-ტკნები და მესამეში, საბძელში, შე-ვიყვანეთ დაღალული ცხენები. ქუ-თხეში ვნახე, იმოდენი თივა და ბზეა, რომ ხუთას სულს საქონელს ერთს წელიწადს ეყოფოდა, გამოვიტანეთ ცხენებსაც ბლომად დაუყარეთ, ჩვენც ქვეშ გავიგეთ, ნაბდები დავიხურეთ, სანთელიც გავაქრეთ და მივეცით თა-ვი ძილს.

გათენდა თუ არა მეორე დღეს, საბძლის კარები გავაღეთ, და ვაპირებ წამოსვლას ახალ-ციხეს, ამ დროს მოგვადგა ორი ქალი, რომელთაც ზურგით გოდრები ეკიდათ, თივა უნდა გაეტანათ. დაგვინახეს თუ არა, საჩქა-როდ გაბრუნდნენ და შეშინებულის ხმით დაიწყეს ძახილი:

— იბრაიმ ალა ჩეირ, (იბრაიმას და-უძახეთ). მოვიდნენ ორნი, მაგრამ ვერც ამათ შემობედეს შემოსვლა: როდესაც ჩვენი ვინაობა განუცხადეთ, ერთი მათგანი შემოვიდა და მითხრა:

— ეჰ! თუმცა თქვენ შეწუხებას გამოივლიდით, მაგრამ ცხენები გა-ძღებოდნენ, მობძანდით ოდაში.

მე ჯერ ცოტა გულ-მოსულათ მი-ვე პასუხი:

ვიდა იქამდინ საქმე, რომ მარტვილის სასწავლებლის გადაწვის ეჭვი ზოგიერთებს თვითონ სამღვდელოებაზედ შემოაქვთ. ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენ, რომ ამ ეჭვს რაიმე საფუძველი მივცეთ, რომ ის დავიჯეროთ და ამისთანა მომაკვდინებელი ცოდვა სამღვდელოებას დავაბრალოთ. ერთობ სულ-მდაბალი, ერთობ გაბოროტებული და სინიდისისაგან ხელ-აღებული უნდა იყოს კაცი, რომ „მეცნიერების ტაძარს“, სასწავლებელს ხელი შეახოს და ცეცხლი წაუკიდოს მხოლოდ იმისთვის, რომ მე შორს ვდგევარ და ამ სასწავლებელში ჩემ შვილს ვერ გამოვზრდიო.

მაგრამ რაც უნდა იყოს, სამეგრელოს სამღვდელოებაში, როგორც ძველად მონტეკისა და კაპულეტის ოჯახს შუა, განხეთქილება არის ჩამოვარდნილი და ამ განხეთქილებას რაც შეიძლება მალე ბოლო უნდა მოეღოს, თუ გვინდა, რომ იმათ ერთად-ერთ სასწავლებელმა იხეიროს.

ჩვენ გვგონია, რომ ამ განხეთქილების მოსპობა მხოლოდ ერთის საშუალებით მოხერხდება. გვგონია, რომ ეს საშუალება ყველა მოწინააღმდეგებს დააკმაყოფილებს.

ეს საშუალება გახლავთ შემდეგი:

მოსამზადებელი და პირველი კლასები ხსენებულ სასულიერო სასწავლებლისა ისევ მარტვილში დარჩე და უფროსი კლასები კი ახალ-სენაკში გადაიტანონ.

ამ გვარად სასწავლებლის ორად გაყოფა არც ხარჯს მოუმატებს სამღვდელოებას და არც სხვა მხრით იქნება ეს თვითონ სასწავლებლისათვის საზარალო, ზედამხედველი სასწავლებლისა ახალ-სენაკში იცხოვრებს და, რადგან იმას კვირაში ექვსი გაკვეთილის მეტი არა აქვს, ისე შეუძლიან მოახერხოს, რომ პარასკევსა და შაბათს სრულებით არა ჰქონდეს გაკვეთილები და ამ ნაირად მუდამ კვირაში მარტვილში მოვიდეს, ერთიორი დღე შეატაროს იქ და თვალყური ადევნოს იქაურ მოსამზადებელსა და პირველ კლასებს. თუ ზედამხედველს არა, იმის თანაშემწეს შეუძლიან ხანდისხან ამავე მოვალეობის ასრულება რადგანაც იმას აქვს კვირაში ექვს გაკვეთილზე მომეტებული.

ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით მარტვილის სას. სასწავლებლის საქმე და მდგომარეობა, მაგრამ, ვხედავთ და გვესმის ეს სამეგრელოს სამღვდელოების დაუბოლოვებელი განხეთქილება და დავა და საჭიროდ და თვითონ ამათთვის სასარგებლოდ ვრახცთ, რომ ამ განხეთქილებას საუკუნოდ ბოლო მოეღოს. აი, ამ განზრახვით შემოგვაქვს ჩვენ ეს წინადადება, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ამის შესრულებას ბევრი არაფერი დამბრკოლებელი მიზეზი არ აღუდგება წინ და ეს მოსპობს ხსენებულ განხეთქილებასაც.

## ახალი ამბები.

დღევანდელს ტელეგრამმებში, სხვათა შორის, დაბეჭდილია, რომ არზრუმის მახლობლად რაღაც ჭირის (ჟამის) მსგავსი ავათ-მყოფობა გაჩნდა და ოსმალოს მთავრობამ ყოველგვარი საშუალება იხმარა, რომ ეს ავათმყოფობა არ გავრცელდესო. ამ საგნის შესახებვე გუშინდელს „თფილისის განცხადებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, 13 ნოემბერს მიღებული ბათუმიდამ:

„ჩვენი ტრაპიზონელი კონსული ტელეგრამმით იწერება, რომ სოფ. ვრუცში, ოსმალოს ქალაქის ხანის მახლობლად ჭირი გაჩენილა“.

ამ ტელეგრამმას ზემოხსენებული გაზეთი უმატებს, ჩვენ ნამდვილად (ოფიციალურის წყაროდამ) შევიტყეთო, რომ ბათუმის ღუბერნატორი ყოველ ღონისძიებას ხმარობსო, რომ ეს საშინელი ავათმყოფობა აქეთკენ არ გავრცელდესო: სხვათა შორის, ხმელეთით ტრაპიზონის გზა შეჰკრაო და ზღვაშიაც ერთი ხომალდი დააყენაო, რომელიც ათვალიერებს ოსმალეთიდამ მომავალ ყველა გემებსაო.

***

კავკასიაში მოგზაური ქალი კარლსერენა, რომელიც ამ ჟამად როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო ამას წინად მოხსენებული, სამურზაყანოში და აბხაზეთში მოგზაურობს, იწერება, რომ აქაურ ხალხმა ძალიან კარგად მიმიღოვო, ყოველ გვარი შემწეობა აღმომიჩინაო და ამისთვის მადლობას უძღვნის იქაურებს.

***

დღეს, სამშაბათს, საღამოს შვიდ საათზე, სადგილ-მამულო ბანკის ზალაში დანიშნული არის „ვეფხის-ტყაოსნის“ გარჩევა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

კახი, 1 ნოემბერს. ღამით ოქტომბერს 26-ს აქ, სოფელ კახში, მოკლეს კახის სტანციაში იამშიკად მყოფი აბრამ ტერ-გაბრიელოვი პოლკოვნიკის ჰასან-ხან მირზაბეკოვის მოსამსახურეებმა. მკვლელობა მისი მოხდა ამ ნაირად:

წინა დღისით შუადღის შემდეგ ბ. მირზაბეკოვის მოსამსახურეებს და ტერ-გაბრიელოვს კახის ბაზრის ერთ დუქანში ერთად უსვამთ ჩაი. აქ იმათ შეეტყოთ, რომ აბრამას 200 მანეთამდის ფული ჰქონდა ჯიბეში; ამისათვის უკანასკნელი მათ მიეწვიათ სადაც თითონ აქთ ბინა (სოფელზედ კარგად გაცილებით). აბრამას ჯერ უარი ეთქვა წასვლაზედ და შემდეგ ბევრის ხვეწნისა [illegible] სას. სოფლის [illegible] რომ [illegible] ამოუღიან და ცოტა მიუტანებიათ მირზა-ბეკოვის სახლთან, ერთ ერთ მსახურთაგანს დაუცია დამბაჩა აბრამასთვის და შემდეგ კიდევ ორივეს ხანჯლით დაუკუწნიათ უბედური. რაც ფული ჰქონია ჯიბეში, სულ ამოუღიათ, გარდა სამი შაური თეთრისა. მეორე დღეს, რომ შეუტყვია კახის უჩასტკის პრისტავს კარპინსკის ეს მკვლელობა, მაშინვე წასულა საქმის გამოსაძიებლად; გამოუძიებია საქმე და მაშინათვე კაცი გაუგზავნია სომხის ტერ-ტერასთან იმ წინადადებით, რომ მოკლული დაემარხნა. ტერტერას აგრე ეთქვა: მინამ გამომძიებელი და დოქტორი არ მოვლენ და კანონურად არ გამოიძიებენ საქმეს, ვერ შემიძლიან დავმარხოვო.

ამის შემდეგ ბ. კარპანსკის ერთ თოუმბაშისათვის (მამასახლისის თანაშემწისათვის) მიუცია სამი მანეთი და უბრძანებია: დაიჭირე კაცები, ამოათხრევინე სამარე, დამარხე მოკლული და ეს სამი მანეთი სამარის მომთხრელს დაურიგეო. თომბაშმა აასრულა პრისტავის ბძანება. მკვლელნი ჯერ დაჭერილნი არ არიან.

მოუგონიათ, ვითომც აბრამ ტერ-გაბრიელოვს მირზაბეკოვის ცხენის მოპარვა ნდომოდეს ეზოდგან და მაშინ მოეკლათ მის ბიჭებს, მაგრამ ეს სულ ტყვილი გამოგონება არის. ხალხი პირ-და-პირ იძახის, რომ აბრამა ფულისათვის არის მოკლულიო.

დღეს 30 ოკტომბერს აქ მოვიდნენ გამომძიებელი და დოქტორი, რომლებმაც მოკლული სხეულის გაშინჯვის და გამოძიების შემდეგ დაგვარწმუნეს, რომ აბრამა მოკლულია ფულის გულისათვის და არა ქურდობისთვის, როგორც ხმებს ავრცელებდნენ.

მოსული.

— ამ წამს დამიძახე მუხთარს (მამასახლისი) ჩემთან წამოვიდეს, დიღვირ ნაჩალნიკთან, მალე.

მან გაოცებულმა მითხრა: — ხეიროლა! (კეთილი იყოს).

— როგორ შეიძლება, ვუთხარი, ამოდენი სოფელი ისე მიძინებული იყავით, ორი საათი კარები დავამტვრიე, კაცი ვერ ვნახე თვალით. ამოდენა საქონელი გარეთ გყავთ წაიყვანონ, ან საბძელს ცეცხლი მიგიცესთ ვინმემ, ვერ უნდა გაიგოთ?

— ეფენდუმ! ჰხედავ თქვენ თათრულ ლაპარაკში, ახალ-ციხელი ხარ და იცი ამ ალაგების გარემოება, აჭარლებმა აღარ შეგვარჩინეს არც ცხენი, არც ხარი, არც ძროხა. ღამღამიან, ეცემიან სოფელს და მიჰყავთ. თუმცა თქვენი ძახილი და კარების ცემა გავიგეთ, როგორ არ გავიგეთ, მაგრამ გვეგონა აჭარლები არიან, შიშით ვერავინ ვერ გამოველით, ვიდრე მთელ სოფელს არ შევატყობინეთ, შემდეგში გამოველით, მაგრამ ვერავინ ვერ ვნახეთ, რას მოვიფიქრებდით, რომ ვინმე არსიანიდან გადმოივლიდა; გეტყობათ, გზა შეგშლიათ! მობრძანდი ოდაში.

— არა, მადლობელი ვარ, ოთახში მოსვლის დრო არა გვაქვს, მეჩქარება წასასვლელად.

შუა დღე არ იყო ახალციხეს რომ მივედით. მოვნახე ჩემი უფროსი, რომელიც იმ ღამეს მოსულიყო არტაანიდგან. გამოვეცხადე თუ არა, დამიწყო ყურება, ხან თავზე და ხან ფეხებზე, შემდეგ მითხრა: — „ნეტავ შენი საბრალო ცხენი ვნახო, რა მდგომარეობაშია?!

— ძრიელ დაიღალა.

— აქ დარჩი, ცხენს კარგა მოუარე, მალე წავალთ ისევ არტაანს.

(გაგრძელება)

## ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკისაგან

სამმართველო ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 28 § ძალით, 18 დეკემბერს მიმდინარის 1881 წლისა, დილის თორმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) საზოგადოვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანახმად, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გარდასახადს და თან გაცხადებათა ხარჯებს.

ქუთაისის გუბერნიის: ქუთაისის უეზდისა.

$43\frac{1}{2}$ წლიანნი სესხნი.

ლორთქიფანიძისა, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატ. 1390 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,453 მან. 61 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 395 მან. 58 კაპ. — სულ 9849 მან. 19 კაპ.

ბესარიონ ანდრიას-ძის ხელთუფლიშვილის მემკვიდრეთა: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 360 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1169 მან. 52 კაპ., შესავსებელი გადასახადი 51 მან. 47 კაპ. — სულ 1220 მან. 99 კაპ.

ყანდინოვისა ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, წინაველს და გოდოგანს ეზო, ზვარი სახნავ-სა-

თესი 26 დესიატინი 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2053 მან. 30 კაპ., შესავსებელი გადასახადი 38 მან. 88 კაპ.—სულ 2137 მან. 18 კაპ.

**სიმონ ივანეს-ძის მესხის მემკვიდრეთა**: სოფელსა რიონს ეზო, სახნავ-კათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1466 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 85 მან. 31 კაპ.—სულ 1551 მან. 96 კაპ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა მაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 782 მან. 31 კაპ., შესავსებელი გადასახადი 44 მან. 51 კაპ. სულ 826 მან. 82 კაპ.

**აგიაშვილისა**, გიორგი თეიმურაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დესიატ. 1931 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14.712 მან. 63 კაპ., შესავსებელი გადასახადი 773 მან. 58 კაპ. —სულ 15.486 მან. 21 კაპ.

**აგიაშვილისა**, სიმონ ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1961 მან. 72 კაპ., შეაავსებელი გადასახადი 91 მან. 50 კაპ.—სულ 2053 მან. 22 კაპ.

**აგიაშვილთა**, ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბებეს-ძეთა, თავადთა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2746 მან. 35 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 137 მან. 62 კაპ.—სულ 2883 მან. 97 კაპ.

**აგიაშვილისა**, ქაიხოსრო ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 28 დესაატ. 1200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2844 მან. 46 კაპ., შესავსებელი გადასახ დი 127 მან. 28 კაპ.—სულ 2971 მან. 74 კაპ.

**კიკიანისა**, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: ეზო და სახნავ-სათესი 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 686 მან. 60 კაპ., შესავსებელი გადასახადი 31 მან, 53 კაპ.—სულ 718 მან.

**მიქელაძისა**, დავით ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფელსა ჭყუშურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25.501 მან. 94 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1335 მან. 22 კაპ.—სულ 26.837 მან. 16 კაპ.

**გოგორიშვილისა**, მარიამ მერაბის ასულის აზნაურისა: სოფელთა ინაშაურს და ბზვანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დესიატ. 675 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 983 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი 49 მან. 75 კაპ.—სულ 1033 მან. 54 კაპ.

**გაბაშვილისა**, ნიკო კონსტანტინეს-ძის, აზნაურისა: სოფელსა ჯიმაშტაროს, ბუმათის აგარს, ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 40 დესიატ. 580 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1180 მან. 62 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 71 მან. 14 კაპ.—სულ 1251 მან 76 კაპ.

**მხეიძისა**, სპირდონ დავითის-ძის, აზნაურისა: სოფელსა კორეეთს ეზო და სახნავ-სათესი, 5 დესიატ. 567 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 196 მან. 14 კაპ., შესავსებელი გადასახადი 34 მან. 23 კაპ.—სულ 230 მან. 37 კაპ.

**ერისთავისა**, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ამაღლებასა, ინაშაურს და უხუთს სახნავ-სათესი და ზვარები, 67 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6886 მან. 83 კაპ., შესავსებელი გადასახადი 452 მან. 51 კაპ. —სულ 7339 მან. 34 კაპ.

**იოსელიანისა**, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1184 მან. 09 კაპ., შესავსებელი გადასახადი 85 მან. 97 კაპ. —სულ 1270 მან. 06 კაპ.

**მიქელაძისა**, ალექსანდრე იაგორის-ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, $10^1/_8$ დესიატ.; თავნი ვალი 2170 მან. 77 კაპ შესავსებელი გადასახადი 63 მან. 23 კაპ.—სულ 2234 მან.

**მიქელაძეთა**, ვალერიან და გიორგი ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფ ქულაშს სახნავ-სათესი და ეზო, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4637 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 294 მან. 25 კაპ.—სულ 4931 მან. 90 კაპ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ.; თავნი ვალი 789 მან. 40 კაპ., შესავსებელი გადასახადი 50 მან. 16 კაპ.—სულ 839 მან. 56 კაპ.

**აგიაშვილისა**, ეგვიპტა გიორგის ასულის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 30 დესიატ.; თავნი ვალი 1366 მან. 53 კაპ., შესავსებელი გადასახადი 137 მან. 20 კაპ.—სულ 1503 მან. 73 კაპ.

**ქორქაშვილისა**, ანნა რევაზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ. 89 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 692 მან. 69 კაპ., შესავსებელი გადასახადი 45 მან. 38 კაპ.—სულ 738 მან. 07 კაპ.

**ერისთავისა**, ვარლამ მიხაილის-ძის, თავადისა: სოფელსა ეწერს სახნავ-სათესი და ტყე, 162 დესიატ. 216 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 9895 მან. 41 კაპ, შესავსებელი გადასახადი 471 მან. 07 კაპ.—სულ 10.366 მან. 48 კაპ.

**აგიაშვილისა**, მიხაილ ბეკოს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი, 15 დესიატ. 1251 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2183 მან. 01 კაპ., შესავსებელი გადასახადი 97 მან. 45 კაპ.—სულ 2280 მან. 46 კაპ.

**ბაინდურაშვილისა**, ივანე თომას-ძის, აზნაურისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო და სახნავ-სათესი, 114 დესიატ. 2217 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 15.181 მან. 77 კაპ., შესავსებელი გადასახადი 618 მან. 18 კაპ.—სულ 15.799 მან. 95 კაპ.

**მიქელაძისა**, დავით პეტრეს-ძის, თავადისა: ეზო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 893 მან. 04 კაპ., შესავსებელი გადასახადი 45 მან. 78 კაპ.—სულ 938 მან 82 კაპ.

**ნიჟარაძისა**, ალექსანდრა მერაბის ასულის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 2304 საჟ.; თავნი ვალი 1488 მან. 41 კაპ. შესავსებელი გადასახადი 69 მან. 63 კაპ—სულ 1558 მან. 04 კაპ.

**წულუკიძისა**, ქრისტინა ქაიხოსროს ასულის, თავადისა: დაბა ხონს და სოფელთა ივანდიდს და ჭყვიშს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1113 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3969 მან, 09 კაპ., შესავსებელი გადასახადი 116 მან. 28 კაპ.—სულ 4085 მან. 37 კაპ.

**წულუკიძეთა**: დავით და ალექსი, თავადთა: სოფელსა ნამამყვს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3076 მან. 05 კაპ, შესავსებელი გადასახადი 85 მან. 42 კაპ.—სულ 3161 მან. 47 კაპ.

**მაჩაბელთა**: ნესტორ და ანემპოდისტი ესეს-ძეთა, გიორგი მიხაილის-ძის, ნატალია ივანეს ასულის და მარიამ სეფეს ასულის, თავადთა: სოფელსა ინეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დესიატ. 1652 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10944 მან. 18 კაპ., შესავსებელი გადასახადი 446 მან. 25 კაპ.—სულ 11.391 მან. 43 კაპ.

**მათივე**: სოფელსა ინეთს სახნავ-სათესი და ტყე 406 დესიატ. 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 39.498 მან. 52 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1588 მან. 08 კაპ.—სულ 41.086 მან. 60 კაპ.

**ჩხეიძისა**, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა, სოფელთა ბაშს და ფარცხა-ნაყანევს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 70 დესიატ. 768 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9949 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 408 მან. 50 კაპ.—სულ 10.357 მან. 75 კაპ.

**3 წლიანნი სესხნი:**

**აგიაშვილისა**, კონსტანტინე ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2000 მან. შესავსებელი გადასახადი 119 მან. 06 კაპ.—სულ 2119 მან. 06 კაპ.

**ჩხეიძისა**, ევდუკსია ფილიპეს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ბზვანს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 200 მან. შესავსებელი გადასახადი 27 მან. 44 კაპ.—სულ 227 მან. 44 კაპ.

**ბ. შორაპნის უეზდისა.**

**$43^1/_2$ წლიანნი სესხნი:**

**ბიწაძეებისა**, ქაქიჩა და ბესარიონ ბერუკას-ძეთა, პავლე და გიორგი პიკოლას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა პვალითს ზვარები სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 414 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1359 მან. 87 კაპ., შესავსებელი გადასახადი 65 მან. 65 კაპ.—სულ 1425 მან. 52 კაპ.

**აბაშიძისა**, ტარასი ვახუშტის-ძის, თავადისა: სოფელთა ზედა საქარას და დაბლა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-ხათესი და ტყე, 21 დესიატ. 2000 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1657 მან. 85 კაპ., შესავსებელი გადასახადი 85 მან. 35 კაპ.—სულ 1742 მან. 20 კაპ.

**ყიფიანისა**, აპოლლონ მერაბის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ღვანკითს სახნავ-სათესი $11^1/_4$ დესიატ.; თავნი ვალი 2241 მან. 61 კაპ., შესავსებელი გადასახადი 166 მან. 86 კაპ.—სულ 2508 მან. 47 კაპ.

**ცქიტიშვილისა**, დიმიტრი სიმონის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ზედა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $12^1/_8$ დესიატ.: თავნი ვალი 1169 მან. 59 კაპ., შესავსებელი გადასახადი 59 მან. 71 კაპ.—სულ 1229 მან. 23 კაპ.

**ჩხეიძისა**, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ლახუნდარას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3898 მან. 36 კაპ., შესავსებელი გადასახადი 242 მან. 02 კაპ.—სულ 4140 მან. 38 კაპ.

**აბაშიძისა**, ტარიელ ვახუშტის-ძის, თავადისა: სოფელთა ზედა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ, 800 კვადრ. საჟ.; თავნი 1173 მან. 32 კაპ, შესავსებელი გადასახადი 57 მან. 70 კაპ.—სულ 1231 მან. 02 კაპ.

**აბაშიძისა**, ქაიხოსრო გიორგის-ძის, თავადისა: სოფელსა ლაშეს ეზო, ზვარია სახნავ-სათესი და ტყე, 49 დესიატ. 280 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6865 მან. 88 კაპ., შესავსებელი გადასახადი 280 მან. 25 კაპ.—სულ 7146 მან. 13 კაპ.

**გოდაბრელიძეთა**: სპირდონ და იოსებ ოტიას-ძეთა, აზნაურთა: სოფ. პასიეთს, საჩხერს და საირხეს სახნავ-სათესი და ტყე, 37 დესიატ. 1692 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3923 მან. 35 კა., შესავსებელი გადასახადი 169 მან.—სულ 4092 მან. 35 კაპ.

**მემანიშვილისა**: ბესუკი და გიორგი ოქროპირის-ძეთა, ივანე და ლუკა პაციას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა რუფოთს სახნავ-სათესი და ტყე, 10 დესიატ. 802 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 490 მან. 41 კაპ., შესავსებელი გადასახადი 45 მან. 62 კაპ.—სულ 536 მან. 03 კაპ.

**ჭაჭიაშვილისა**, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6865 მან. 88 კაპ. შესავსებელი გადასახადი 454 მან. 05 კაპ.—სულ 7319 მან. 93 კაპ.

**ბოჭორიშვილებისა**: ვასილ და გრიგორი გიორგის-ძეთა, გლეხთა; სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 1450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1187 მან. 46 კაპ. შესავსებელი გადასახადი 65 მან. 64 კაპ. სულ 1253 მან. 10 კაპ.

**ბოჭორიშვილისა**, ივანე ივანეს-ძის, გლეხისა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი, 4 დეს. 1532 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 593 მან. 70 კ., შესავსებელი გადასახადი 33 მ. 85 კ.—სულ 627 მ. 55 კ.

**ბოჭორიშვილებისა**: სოლომონ და იოსებ ბლახუას-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 1025 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 791 მან. 64 კაპ. შესავსებელი გადასახადი 41 მ. 80 კ. სულ 833 მ. 44 კ.

**ბოჭორიშვილისა**, პეტრე სიმონის-ძის, გლეხისა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 1030 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 692 მან. 69 კაპ., შესავსებელი გადასახადი 37 მ. 83 კ. სულ 730 მ. 52 კ.

**მემანიშვილებისა**: ივანე და ლუკა პაციას-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუ-

ფოთს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 1882 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 791 მ. 64 კ., შესავსებელი გადასახადი 46 მ. 10 კ. სულ 837 მ. 74 კ.

### გ. რაჭის უეზდისა.

**ბაქრაძე ბიჭია გიორგის-ძის**, აზნაურისა: სოფ. ქვაშხიეთს სახნავ-სათესი 5 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1466 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 66 მან. 91 კაპ. სულ 1533 მან. 56 კაპ.

**ჯაფარიძისა ტარიელ მერაბის-ძის** თავადისა: სოფ. ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 684 მან. 45 კაპ. შესავსებელი გადასახადი 33 მან. 37 კაპ. სულ 717 მან. 82 კაპ.

**ქაფიანიძეებისა**: გოგიჲა მიქელას-ძისა, პეტრე, სპირდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხეილ შაქარას-ძის გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი 75 დესიატ. 1404 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5920 მან. 37 კაპ., შესავსებელი გადასახადი 264 მან. 67 კაპ.—სულ 6185 მან. 04 კაპ.

**მუსელიანისა, ტარიელ ოქროპირის-ძის**, გლეხისა: სოფ. ტოლას ეზო ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 15 დეს.; თავნი ვალი 1480 მ. 09 კ., შესავსებელი გადასახადი 84 მ. 64 კ. სულ 1564 მ. 73 კ.

### დ. სენაკის უეზდისა:

**მიქაძეთა**: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბექან სიმონის-ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინა პეტრეს ასულის თავადთა: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დეს.; თავნი ვალი 14,712 მ. 63 კ. შესავსებელი გადასახადი 984 მ. 97 კ. სულ 15,697 მ. 60 კ.

**თოფურიძისა, ხახუ დავითის-ძის**, აზნაურისა: სოფ. სეფიეთს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 38 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2976 მან. 83 კაპ., შესავსებელი გადასახადი 123 მან. 69 კაპ. სულ 3100 მან. 52 კაპ.

### ე. ზუგდიდის უეზდისა.

**დადიანისა, კონსტანტინე ლევანის-ძის**, თავადისა: სოფ. ხიბულას სახნავ-სათესი და ტყე, 6000 დესიატ.; თავნი ვალი 38,984 მან. 08 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1843 მან. 06 კაპ. სულ 40,827 მან. 14 კაპ.

### ვ. ლეჩხუმის უეზდისა.

**ახვლედიანებისა**: ოტია, გიორგი და სიკო ანტონის-ძეთა, თავადთა: სოფელთა აჭერას, ალპანას, ზოგიშს და ცაგერს ეზოები, ზვარები, და სახნავ-სათესი და ტყე, 104 დესიატ. 456 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,622 მან. 10 კაპ., შესავსებელი გადასახადი 661 მან. 68 კაპ. სულ 17,283 მან. 78 კაპ.

**ჩიქოვანისა ივანე ოტიას-ძის**, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყერს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, $48^3/_4$ დესიატ. თავნი ვალი 4,888 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი 278 მან. 02 კაპ. სულ 5166 მან. 81 კაპ.

### ქ. ქუთაისს.

### $18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

**წერეთელთა**, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს-ძეთა, ვასილ სიმონის-ძის და იოსებ ოქროპირის-ძის აზნაურთა: ორი ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 2 დესიატ. 1146 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5796 მან. 35 კაპ., შესავსებელი გადასახადი 561 მან. 12 კაპ. სულ 6357 მან. 47 კაპ.

**ელისაბედ სიმონის-ძის ჩარექოვის** მემკვიდრეთა: შვიდი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა $103^1/_2$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2566 მან. 94 კაპ., შესავსებელი გადასახადი 259 მან. 81 კა. სულ 2826 მან. 75 კაპ.

**დოდაბერიძისა**, გიორგი ბესარიონის-ძის: ოთხი ქვით-კირის ერთ სართულიანი მაღაზიები და მიწა, 276 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 15,765 მან. 62 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1224 მან. 11 კაპ. სულ 16,989 მან. 73 კაპ.

**კანდელაკისა ეკატერინა ანდრიას ასულის**, აზნაურისა: ორი სახლი და მიწა, 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2542 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 307 მან. 94 კაპ. სულ 2850 მან. 76 კაპ.

**ლორთქიფანიძისა**, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა: ერთ სართულიანი ქვით-კირის დუქანი და მიწა, 700 კვადრს. საჟ; თავნი ვალი 5085 მან. 72 კაპ., შესავსებელი გადასახადი 328 მან. სულ 5413 მან. 72 კაპ.

**ხელთუფლიშვილისა**, ბესარიონ ანდრიას-ძის, აზნაურისა: მემკვიდრეთა: ოთხი ხის ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა, 442 კვადრ. საჟ.;1525 მან. 70 კაპ., შესავსებელი გადასახადი 105 მან. 40 კაპ. სულ 1631 მან. 10 კაპ.

**გურიელისა**, ელიონორა მიხაილის ასულის თავადისა: ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 1230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4333 მან. 05 კაპ., შესავსებელი გადასახადი 276 მან. 18 კაპ. სულ 4609 მან. 23 კაპ.

**სარჩიმელიასი**, ივანე ბექანის-ძის, აზნაურისა: ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა 81 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1559 მან. 91 კაპ. შესავსებელი გადასახადი 178 მან. 68 კაპ. სულ 1738 მან. 59 კაპ.

**ალხაზოვისა**, ივანე კაციას-ძის, მოქალაქისა: ორ სართულიანი ქვით-კირის სახლები და მიწა, 334 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3611 მან. 90 კაპ. შესავსებელი გადასახადი 232 მან. 76 კაპ. სულ 3844 მან. 66 კაპ.

**იოსელიანისა** კონსტანტინე იესეს-ძის, აზნაურისა: ორ სართულიანი სახლი და მიწა 334 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1083 მან. 54 კ., შესავსებელი გარდასახადი 118 მან. 06 კაპ. სულ 1201 მან. 60 კაპ

**ლორთქიფანიძისა**, ნიკოლოზ გიორგის-ძის, თავადისა: ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 667 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1625 მან. 36 კაპ., შესავსებელი გადასახადი 143 მან. 90 კაპ. სულ 1822 მან. 26 კაპ.

**აბაშიძისა**, სიმონ ივანეს-ძის, თავადისა: ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი, 27610 მან. 91 კაპ. შესავსებელი გადასახადი 2324 მან. 85 კაპ. სულ 29,935 მანეთი 76 კაპ.

**ელისაბედ სიმონის ასულის ჩარექოვის** მემკვიდრეთა: ორი ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 3 დესიატ. და 2306 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1840 მან. 71 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 236 მან 91 კაპ. სულ 2077 მან. 62 კაპ.

**გაბაშვილისა**, ისიდორე გიორგის-ძის, აზნაურისა: ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 4 დესიატ. 102 კვადრ საჟ; თავნი ვალი 6560 მან. 83 კაპ., შესავსებელი გადასახადი 381 მან. სულ 6941 მანეთი 83 კაპ.

**დგებუაძისა**, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 198 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2811 მან. 74 კაპ., შესავსებელი გადასახადი 252 მან. 76 კაპ.

**კანდელაკისა** გერასიმე ივანეს-ძის, აზნაურისა: ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 162 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 3936 მან. 42 კაპ., შესავსებელი გადასახადი 318 მან. 10 კაპ. სულ 4254 მან. 52 კაპ.

**კიკიანისა**, ტასია, გლახუას ასულის, აზნაურისა: ორი ხის ერთ სართულიანი სახლი და მიწა 144 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 168 მან. 61 კაპ., შესავსებელი გადასახადი 36 მან. 50 კაპ. სულ 505 მან. 11 კაპ.

**კანდელაკისა**, დომენტი სიმონის-ძის, აზნაურისა: ორ სართულიანი სახლი და მიწა, 353 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 937 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 109 მან. 15 კაპ. სულ 1046 მან. 40 კაპ.

**ლორთქიფანიძისა**, გიორგი როსტომის-ძის თავადისა: ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 369 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2811 მან. 74 კაპ., შესავსებელი გადასახადი 159 მან. 16 კაპ. სულ 2970 მან. 90 კაპ.

**მარჯანოვისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, აზნაურისა: ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 1800 კვადრ საჟ. თავნი ვალი 2530 მან. 58 კაპ., შესავსებელი გადასახადი 249 მან. 36 კაპ. სულ 2779 მან. 94 კაპ.

**მაისურაძისა**, პელაგია იოსების ასულის; ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 172 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 749 მან. 80 კაპ. შესავსებელი გადასახადი 55 მან. 15 კაპ. სულ 804 მან. 95 კაპ.

**ჯაშვარიანისა**, ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 225 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2754 მან. 81 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 160 მან. 62 კა. სულ 2735 მან. 43 კაპ.

**კახიძეიშვილისა**, იაკობ ივანეს-ძის, მოქალაქისა: ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 226 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5721 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 419 მან. 87 კაპ. სულ 6141 მან. 69 კაპ.

**ლენჩევსკისა**, ვლადიმერ ანტონის-ძისა: ორი ქვით-კირის ორ სართულიანი სახლი და მიწა, 303 კვადრ საჟ.; თავნი ვალი 14,304 მან. 55 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1010 მან. 46 კაპ. სულ 15,315 მან. 01 კაპ.

**ხელთუფლიშვილისა**, თეოდოსია ფირანის ასულის, აზნაურისა: თორმეტი ერთ სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, 195 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14,304 მან. 55 კაპ., შესავსებელი გადასახადი 942 მან. 72 კაპ. სულ 15,247 მან. 27 კაპ.

**ჩარკვიანისა** ეკატერინა, ანდრიას ასულის: ორ სართულიანი სახლი და მიწა, 423 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 762 მან. 91 კაპ., შესავსებელი გადასახადი 52 მან. 40 კაპ. სულ 814 მან. 31 კაპ.

**ჩხეიძისა**, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 1052 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,817 მან. 30 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 328 მან. სულ 6145 მან. 35 კაპ.

### 3 წლიანნი სესხნი.

**ხუბეროვისა** ატო ფარსადანის-ძის მოქალაქისა: ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 410 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2000 მან. შესავსებელი გარდასახადი 386 მან. 35 კაპ. სულ 2386 მან. 35 კაპ.

**მურადოვისა** ისააკ ივანეს-ძის, მოქალაქისა: ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და ოთხი ერთ სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, $18^1/_4$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4000 მან. შესავსებელი გადასახადი 205 მან. 39 კაპ. სულ. 4205 მან. 39 კაპ.

**გაბაშვილისა**, მაქსიმე გიორგის-ძის, აზნაურისა: ორი ნაკვეთი მიწა 2 დესიატინი 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2000 მან. შესავსებელი გადასახადი 100 მან. 97 კაპ. სულ 2100 მან. 97 კაპ.

### ქ. თფილისს.

### $18^7/_{12}$ წლიანნი.

**ყარაევისა** ანტონ იაკობის-ძის, ნადვორნი სოვეტნიკის: სამი ქვით-კირის ორ სართულიანი სახლი და მიწა, 852 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 81,442 მან. 20 კაპ., შესავსებელი გადასახადი 4, 462 მან სულ 85,904 მან. 20 კაპ.

ვაჭრობა დაიწყება ზემოაღნიშნულის თავნი ვალიდამ ზედ დამატებული სხვა და სხვა შეუსრულებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის საკვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24§ საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 8 იანვარს მომავლის 1882 წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი